

მათემატიკა





Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ՀԵՅՋԱՆ ԱԼԻԵՎ
ԱԶԵՐԲԱՅՋԱՆԻ ԿԱԼԵՍ ՍԱՄԹԹ ԷՐԹՅԵՆԵԼՈ ՀՈՒԶԵՐԸ

ნაიმა კეპრემანოვა
ჯემილე ესგეროვა
ლეილა გურბანოვა

მათემატიკა 3

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-3 კლასისათვის “მათემატიკის” საუნის
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 05. 07. 2010 წლის
973-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, 2016

სააგტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე
ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა,
ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით
გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა “Radius”

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი
გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოავსაგნოთ
radius_n@hotmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ
მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან
თანამშრომლობისათვის!

ს ა რ ჩ ე გ ი

1-ლი განყოფილება

მე-2 კლასში გავლილი მასალის გამორჩება.....	7
გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები.....	13
ნაშთიანი გაყოფა.....	25

მე-2 განყოფილება

რიცხვები 1000-ს ფარგლებში.....	32
შეკრება 1000-ს ფარგლებში.....	39
გამოკლება 1000-ს ფარგლებში.....	40
ამოცანების ამოხსნა.....	51
ჩვენი ფული.....	57

მე-3 განყოფილება

პარალელური და გადამკვეთრი წრფეები.....	64
მრავალკუთხედები.....	65
გეომეტრიული ფიგურები.....	70
მრავალკუთხედების პერიმეტრი.....	75

მე-5 განყოფილება

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები.....	104
სწრაფი გამრავლების ჩვევები.....	107
სწრაფი გაყოფის ჩვევები.....	109
ორნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება.....	111

სამნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება.....	112
ორნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა.....	113
სამნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა.....	115

მე-6 განყოფილება

მოქმედებების თანმიმდევრობა.....	121
ამოცანების ამოხსნა.....	124
ცვლადიანი გამოსახულებები.....	126
ამოცანის ამოხსნა განტოლების შედგენით....	127
ნაწილები, წილადები.....	130

მე-4 განყოფილება

სწრაფი გაანგარიშების უნარები.....	82
სიფრძის გაზომვა.....	85
მასის გაზომვა.....	90
ტეგადობის გაზომვა.....	93
საათი.....	95

მე-7 განყოფილება

კალენდარი.....	136
საკოორდინატო ბადე.....	137
გამოიკვლიერ და წარმოადგინეთ ინფორმაცია.....	139
გამოიკვლიერ ინფორმაცია და მოახდინეთ პროგნოზირება.....	141
განმაზოგადებელი დაგალებები.....	142

I განყოფილება

რას შეისწავლით ამ განყოფილებაში?

- 😊 6-ზე, 7-ზე, 8-ზე, 9-ზე, 10-ზე გამრავლებისა და გაყოფის
მოქმედებების შესახებ ამოცანებისა და მაგალითების ამონენას
- 😊 ნაშთიანი გაყოფის შესრულებას და მის შესახებ
ამოცანების ამონენას

სიტყვების მარაგი

1-ლი მამარავლი	გასაყოფი	სტრიქონი	ტოლრაოდენობიანი საუნების ჯუფი
მე-2 მამრავლი	გამყოფი	სვეტი	ჯგუფების რაოდენობა
მამრავლები	განაყოფი	რიგი	
ნამრავლი	ნაშთი	მწკრივი	

ბე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. თოთ მაგლითის პასუხის მიხედვით იპოვეთ მესამე მაგალითის პასუხი.


$$\begin{array}{r} 1) \quad 4 + 5 = 9 \\ \underline{40 + 30 = 70} \\ \underline{44 + 35 = 79} \end{array}$$

$$\begin{array}{r} 5 + 7 \\ 20 + 60 \\ \hline 25 + 67 \end{array} \quad \begin{array}{r} 8 + 6 \\ 10 + 20 \\ \hline 18 + 26 \end{array} \quad \begin{array}{r} 5 + 8 \\ 50 + 20 \\ \hline 55 + 28 \end{array}$$

$$\begin{array}{r} 2) \quad 8 - 3 = 5 \\ \underline{50 - 20 = 30} \\ \underline{58 - 23 = 35} \end{array}$$

$$\begin{array}{r} 9 - 7 \\ 50 - 20 \\ \hline 59 - 27 \end{array} \quad \begin{array}{r} 14 - 6 \\ 40 - 20 \\ \hline 54 - 26 \end{array} \quad \begin{array}{r} 11 - 4 \\ 60 - 10 \\ \hline 71 - 14 \end{array}$$

2. რიცხვით ღერძზე რიცხვები 12 ერთეულით ზრდის მწკრივითაა განთაგებული. რომელი რიცხვები უნდა იყოს ასოების აღინილას?



3. რომელ ორ მეზობელ ათეულს შორის მდებარეობენ რიცხვები?

20 ← **23** → **30**

23, 36, 47, 56, 74, 81

4. ბე-3^ა კლასის მოსწავლეებს მიმართეს შეკითხვით: ზაფხულის არდადეგებზე თქვენ მიერ წაკითხული წიგნი საიდან აიღეთ? პასუხები ქვემოთ პიქტოგრამაშია მოცემული. შეასრულეთ დავალებები პიქტოგრამის მიხედვით.

ა) რამდენ მოსწავლეს შორის

ჩატარდა გამოკითხვა?

ბ) $1 \text{ } \circ\circ = 4$ მოსწავლის
პირობებში რამდენი იქნებოდა
ბიბლიოთეკიდან წიგნის ამღებ
მოსწავლეთა რაოდენობა?

გ) პიქტოგრამის მიხედვით რგე-
ულში ჩატარეთ 3 ინფორმაცია.

წიგნების აღების აღილი	ზაფხულის არდადეგებზე წაკითხვა			
	$1 \text{ } \circ\circ = 2$ პირს			
მაღაზია				
ბიბლიოთეკა				
სახლი				

მოსწავლეთა რაოდენობა

ბე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. გამოიკვლიეთ როგორ არის შედგენილი მაგალითები.
შესაბამისი მაგალითების ერთი სვეტი თქვენ დაამატეთ.

$45 - (15 - 14)$	$(25 + 13) - 9$
$45 - (14 + 15)$	$25 + (13 - 9)$
$45 - 14 + 15$	$25 - 13 - 9$
$45 - 15 + 14$	$25 - 13 + 9$

2. გადაიტანეთ ცხრილები თქვენს რვეულში და შეაგსეთ.

მამრავლი	მამრავლი	ნამრავლი
4	3	
5		50
	6	18
2	10	

გასაყოფი	გამყოფი	განაყოფი
24	4	
	6	2
32		8
	5	5

3. განსაზღვრეთ ამოცანებში მოცემული ზედმეტი ინფორმაცია და ამოხსენით.

- 1) სეგინჯს 9 კალამი აქვს. ქედან 2 მას მეგობარმა აჩუქა. ის კალმებს ამოწმებს. კალმებიდან 4 ცუდად წერს. სეგინჯის რამდენი კალამი წერს გარგად?
- 2) ეპმედმა მამასთან ერთად ბაღში 14 გაშლის ხე დარგო. გაშლის ხეებს ჰორის 4 ოქროს ეპმედი, 3 პალმეტი ჯიშისა იყო. მათ ამასთან ერთად 8 მსხლის, 7 ბლის და 4 ჭერის ხეც დარგეს. სულ რამდენი ხე დარგეს ეპმედმა და მამამისმა?
4. ომარს 8, ხადიჯეს 6, აინურს 10 კანფეტი აქვს. მათ კანფეტები ერთად შეაგროვეს და თანაბრად გაინაწილეს. რამდენი კანფეტი შეხვდა თითოეულ ბაგშე?

5. რა რიცხვი მიღება:
- 20-ის ნახევრის 3-ჯერ გაზრდისას?
 - 4-ის 7-ჯერ გაზრდით მიღებული ნამრავლისათვის 12-ის მიმატებით?

გე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. რიცხვის ორმაგის გამოყენებით სწრაფად გაიანგარიშეთ.

$$24 + 24$$

$$24 + 25$$

$$48 - 24$$

$$32 + 32$$

$$32 + 33$$

$$64 - 32$$

$$16 + 16$$

$$16 + 17$$

$$32 - 16$$

$$43 + 43$$

$$43 + 44$$

$$86 - 43$$

2. გამოიკვლიეთ სწრაფი გამოანგარიშების ხერხი. მაგალითები ამ ხერხით ზეპირად ამოხსენით.

$$1) 45 + 19 = 64$$

$$2) 37 + 18 = 55$$

$$45 + 20 - 1 = 65 - 1$$

$$37 + 20 - 2 = 57 - 2$$

$$69 + 24$$

$$46 + 28$$

$$27 + 59$$

$$38 + 54$$

$$52 + 39$$

$$27 + 18$$

$$29 + 16$$

$$48 + 33$$

3. გამოიკვლიეთ ნიმუშები. რატომაა, რომ პირველ შემთხვევაში 1 დაემატა, მეორე შემთხვევაში 1 გამოაკლდა? მაგალითები ზეპირად ამოხსენით.

$$84 - 29 = 55$$

$$89 - 24 = 65$$

$$84 - 30 + 1 = 54 + 1$$

$$90 - 24 - 1 = 66 - 1$$

$$64 - 39$$

$$49 - 23$$

$$83 - 59$$

$$89 - 46$$




$$72 - 19$$

$$79 - 37$$




$$96 - 29$$

$$59 - 24$$

4. რამდენ წუთს შეესაბამება გაუფერადებელი ნაწილი?



5. რომელი საათია?



10:15 ან გიდევ 22:15

მე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. ამოცანა ყოველდღიურად გაყიდული გელოსიპედების რაოდენობის მიმდევრობითი ჩაწერით.
მაღაზაში იყო 100 გელოსიპედი. პირველ დღეს 10 გელოსიპედი გაიყიდა. ყოველ მომდევნო დღეს, წინა დღესთან შედარებით 10 გელოსიპედით მეტი გაიყიდა. რამდენ დღეში გაიყიდა 100 გელოსიპედი?
2. ერთი და იგივე ფერის ფიგურები ერთსა და იმავე რიცხვებს უჩვენებენ.
იპოვეთ ეს რიცხვები.
- | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1) $45 + 23 = 68$
$68 - 19 = \text{pink}$
$\text{pink} + 34 = \text{yellow}$
$\text{yellow} - 28 = \text{blue}$
$\text{blue} + 7 = \text{green}$ | 2) $97 - 24 = \text{pink}$
$\text{pink} - 24 = \text{yellow}$
$\text{yellow} + 40 = \text{blue}$
$\text{blue} - 18 = \text{green}$
$\text{green} + 28 = 99$ |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
3. ქალბატონმა აიძნის 24 მანეთად ჩანთა, ხოლო 47 მანეთად ფეხსაცმელი შეიძინა. ქალბატონმა აიძნის 100 მანეთიანი მიაწოდა. რამდენი მანეთი უნდა დაუბრუნოს მას მოლარემ?
4. შეასრულეთ დაგალებები 100-ეულის კგადრატზე.

1) გამოიკვლიერ ნიმუში და 3 ახალი ვარიანტი შეარჩიეთ.

$$17 + 28 = 45$$

$$27 + 18 = 45$$

2) ა) ვარდისფრად; ბ) ცისფრად
აღნიშნული რიცხვები მიმდევრობით,
ზრდის რიგის მიხედვით ჩაწერეთ.
ჩაწერეთ რიცხვების შეცვლის წესი.




1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70
71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90
91	92	93	94	95	96	97	98	99	100

ჯგუფებში სამუშაო

5. ჯგუფები ამოდელირებენ და წერენ ქაღალდისაგან ამოჭრით დამზა-
დებული 5, 10 და 20 კაბიკიანებით 90 კაბიკის მიღების სხვადასხვა
ვარიანტებს. ჯგუფის წევრები ურთიერთშორის სამუშაოს განაწილებით
შესრულებით, ეცდებიან უფრო მეტი ვარიანტის მოფიქრებას.

გე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. რომელი ფიგურის დანართებით შეიძლება წრის დახატვა?






2. განსაზღვრეთ ფიგურა მონაცემების მიხედვით. მას:

- | | | |
|----------------------|--------------------------|-----------------------------------|
| 1) 2 წანაგი წრე აქვს | 2) 12 წიბო, 8 წვერო აქვს | 3) ყველა წანაგი მართკუთხედი აქვს. |
| ა) ცილინდრი | ა) ბირთვი | ა) ცილინდრი |
| ბ) კონუსი | ბ) კუბი | ბ) მართკუთხა პრიზმა |
| გ) პუბი | გ) ცილინდრი | გ) ბირთვი |



3. ემინმა ცისფერი კვადრატის „ყვითელი კვადრატის, წითელი სამკუთხედის მიდევრობითი გამეორებით 15 ფიგურა დახაზა.

- ა) განსაზღვრეთ თანამიმდევრობაში ცისფერი ფიგურების რიცითი ნომრები;
ბ) მე-7, მე-9 და მე-14 ფიგურები რომელი ფიგურებია?

4. სურათებზე რომელი კუთხეებია მოდელირებული?



5. განსაზღვრეთ თითოეული ფიგურის კუთხეების რაოდენობა და ფორმა.



6. შეასრულეთ მოქმედებები. იპოვეთ ფიგურების შესაბამისი რიცხვები.

1) $3 \times 7 =$

$4 \times 4 =$

+ =

2) $\times 5 = 20$

$\times 6 = 18$

\times =

მე-2 კლასში გავლილი მასალის გამეორება

1. ქერიმმა და რეპიმმა მტკაველები გაწომეს და შეადარეს. ქერიმის მტკაველი 1 და 2 სმ-ია, რეპიმის მტკაველი 9 სმ აღმოჩნდა. ვისი მტკაველია დოდი და რამდენით?
2. რამდენი მოსწავლეა თითოეულ მწკრივში?
- ელნური 1-ლია, ჯავიდი კი ბოლოა. მათ შორის 10 მოსწავლეა.
 - კემერი მწკრივში მე-3, ხოლო ხალილი ბოლოა. კემერსა და ხალილს შორის 8 მოსწავლეა.
3. ნესიბი, გულნარე და სევილი მწკრივში ადგილმონაცვლეობით რამდენ განსხვავებულ მდგომარეობაში შეიძლება დადგნენ?
4. რომელი წესითაა რიცხვები დალაგებული?
- როგორ ფიქრობთ, რომელ მწკრივშია ყველა რიცხვი კენტი,
რომელში - ლუწი?
- 13, 15, 17,
 - 18, 20, 22,
5. იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები.
- | | | |
|-------------------------|-------------------|--------------------|
| $\square \times 5 = 25$ | $\square : 5 = 8$ | $36 : \square = 9$ |
| $\square \times 8 = 24$ | $\square : 3 = 9$ | $30 : \square = 5$ |
| $\square \times 7 = 21$ | $\square : 4 = 7$ | $45 : \square = 5$ |
6. 45 შევამცირე 10 ერთეულით, მიღებული შედეგი 5-ჯერ შევამცირე და განაყოფს 3 მივუმატე. რა პასუხი მივიღე? გამოანგარიშებების მაჩვენებელი მოქმედებები რომელ პუნქტშია სწორი მიმდევრობით მოცემული?
- ა) გაყოფა, გამოკლება, შეკრება ბ) გამოკლება, გაყოფა, შეკრება გ) შეკრება, გამოკლება, გაყოფა.
7. რომელი წესითაა დალაგებული რიცხვები? ამ წესით კიდევ 5 რიცხვი დაწერეთ. იპოვეთ პირველი და მეშვიდე რიცხვების ჯამი.
- 21, 24, 27, ...**
8. ორი ძმის ასაკის ჯამი 24-ია. მათ შორის ერთი მეორეზე 2 წლით უფროსია. რამდენი წლისაა უმცროსი ძმა?
- ამოხსენით ამოცანა რიცხვების შერჩევა- შემოწმებით.
 - ქვემოთ მოცემული ჩანაწერი მაგალითის შესაბამისად განმარტეთ.
- $\square + \square + 2 = 24$

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

1. ჯგუფებისა და თითოეულ ჯგუფში საგნების რაოდენობის მიხედვით დახატეთ პირობითი სურათები. დაწერეთ სურათების შესაბამისი შეკრებისა და გამრავლების მოქმედებები. რისი მაჩვენებელია ნამრავლი?

3 რიგი, თითოეულ რიგში 4 წრე

$$\bullet \bullet \bullet \bullet \quad 4 + 4 + 4 = 12$$

$$\bullet \bullet \bullet \bullet \quad 3 \times 4 = 12$$

$\bullet \bullet \bullet \bullet$ წრების საერთო

რაოდენობა.

1) 4 რიგი, თითოეულ რიგში 5 ყვავილის ქოთანი

2) 3 რიგი, თითოეულ რიგში 6 სკამი

3) 2 რიგი, თითოეულ რიგში 8 წიგნი

2. ბალანსის ჰოკეის ტურნირზე გუნდმა “რაბითებიმ” ჩატარებულ თითოეულ თამაშში 6 გოლი, ხოლო გუნდმა “ნეფთებიმ” კი მასზე 2-ჯერ ნაკლები გოლი გაიტანა. რამდენი გოლი გაიტანა თითოეულმა გუნდმა 5 თამაშში?

3. შეასრულეთ მოქმედებები და ურთიერთდაკავშირებული მაგალითები შეაერთეთ.

$$4 \times 5$$

$$5 \times 8$$

$$3 \times 7$$

$$4 \times 7$$

$$21 : 3$$

$$40 : 5$$

$$28 : 4$$

$$20 : 5$$

$$2 \times 9$$

$$5 \times 6$$

$$4 \times 8$$

$$3 \times 9$$

$$32 : 4$$

$$18 : 2$$


$$30 : 5$$

$$27 : 3$$

4. კუბაში არსებული დასასვენებელი ცენტრებიდან ერთ-ერთში 8 სასტუმრო თანაბით. თითოეულ თოახში შეიძლება დარჩეს არაუმეტეს 4 პირი. თუ ერთდროულად ამ ცენტრში 40 ტურისტი მივა, აქედან რამდენი პირის აქ მოთავსება იქნება შეუძლებელი?

5. ა) 8; ბ) 12; გ) 16; დ) 18 საგნის ერთი და იგივე რაოდენობით ჯგუფებში სხვადასხვანაირი დაღაგება რგეულებში უჯრების გაფერადებით დაამოდელირეთ. მაგალითები დაწერეთ და ამოხსენით თითოეული მოდელის შესახებ, გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების შესაბამისად.



8 პგადრატის სხვადასხვანაირი დალაგება



$$4 \times 2 = 8$$

$$8 : 4 = 2$$

$$8 : 2 = 4$$



1 სტრიქონი

გამრავლებისა და გაყოფის წვევები

6-ზე გამრავლება და გაყოფა

1. 6-ზე გამრავლების ცხრილი თქვენს რვეულებში დაასრულეთ.

$$\begin{array}{l} 1 \times 6 \\ 2 \times 6 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 3 \times 6 \\ 4 \times 6 \\ 5 \times 6 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 6 \times 6 \\ 7 \times 6 \\ 8 \times 6 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 9 \times 6 \\ 10 \times 6 \end{array}$$

2. გამოიანგარიშეთ. საჭიროების შემთხვევაში წინა დავალების ამოხსნებით ისარგებლეთ.

$$\begin{array}{l} 6 : 6 \\ 6 : 1 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 18 : 6 \\ 18 : 3 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 30 : 6 \\ 30 : 5 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 42 : 6 \\ 42 : 7 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 54 : 6 \\ 54 : 9 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 12 : 6 \\ 12 : 2 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 24 : 6 \\ 24 : 4 \end{array}$$


$$\begin{array}{l} 36 : 6 \\ 48 : 6 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 48 : 8 \\ 60 : 8 \end{array}$$


$$\begin{array}{l} 60 : 6 \\ 60 : 10 \end{array}$$

3. სურათების შესაბამისად დაწერეთ გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების მაგალითები და ამოხსნით.


1)



2)



3)



4. სამსართულიანი შენობის თითოეულ სართულზე 2 ოჯახი ცხოვრობს. თუ თითოეული ოჯახი 6 პირისაგან შედგება, სულ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ სახლში? პირობა ისე შეცვალეთ, რომ გაყოფის მოქმედების დახმარებით ამოხსნას.

5. ზეპირად გამოიანგარიშეთ.

- 1) 6 გაზარდეთ 4-ჯერ, ნამრავლს 40 მოუმატეთ.
2) 54 გაყავით 6-ზე, განაყოფი 5-ჯერ გაზარდეთ.

6. ქამალე 1 წუთში 5 ფოთლის, ელნარე კი 6 ფოთლის სურათს ხატავს. ქამალეს 30 ფოთლის სურათის დახატვის განმავლობაში, ელნარე რამდენი ფოთლის სურათს დახატავს?

7. მაყურებელთა დარბაზში 1-ლ რიგში 6 ადგილია. ყოველ მომდევნო რიგში თავის წინასთან შედარებით 6 ადგილით მეტია. მაყურებელთა დარბაზში 10 რიგია. რამდენი მაყურებლის ადგილია მე-10 რიგში? ამოხსნით ამოცანა მიმდევრობის აუგით.

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

6-ზე გამრავლება და გაყოფა

1. შეასრულეთ მოქმედებები. თითოეული სვეტის ორი მაგალითის მიხედვით განმარტეთ ნამრავლისა და განაყოფის შეცვლის წესები.

$$\begin{array}{lll} 3 \times 4 & 3 \times 9 & 3 \times 5 \\ 6 \times 4 & 6 \times 9 & 6 \times 5 \end{array}$$

$$\begin{array}{lll} 9 : 3 & 12 : 3 & 24 : 4 \\ 18 : 6 & 24 : 6 & 48 : 8 \end{array}$$

2. შეადარეთ.

$$18 : 3 \quad 16 : 2$$

$$9 \times 4 \quad 20 + 15$$

$$24 : 6 \quad 21 : 3$$


$$36 : 6 \quad 47 - 41$$

$$42 : 6 \quad 30 : 5$$

$$25 - 13 \quad 60 : 10$$

3. თითოეული გაყოფის მოქმედება ასახეთ რიცხვით დერძზე.

$$42 : 6 = 7$$



$$18 : 6$$

$$48 : 6$$

$$60 : 6$$

4. ჰუსეინს მოგზაურობა ძალიან უყვარს. მოგზაურობის დროს ბევრ სურათს იღებს და ალბომს ამზადებს. ცხრილში ჰუსეინის ალბომში არსებული სურათების შესახებ ინფორმაციაა მოცემული. ალბომის თითოეულ გვერდზე 6 სურათია. შეასრულეთ დაგალებები ინფორმაციების მიხედვით.

- 1) ჰუსეინს ალბომში რამდენი გვერდი აქვს გამოყოფილი თითოეული რაიონისათვის?
- 2) თუ ოდუზის შესახებ სურათები 8 გვერდი იქნება, ცხრილში რომელი ცვლილებების შეტანაა საჭირო?
- 3) რომელი რაიონის შესახებ სურათების რაოდენობა 2-ჯერ აღემატება ბერდის რაიონის შესახებ სურათების რაოდენობას?
- 4) რომელი რაიონის შესახებ სურათების რაოდენობა, კახის რაიონის შესახებ სურათების რაოდენობის ნახევრის ტოლია?
- 5) ცხრილის საფუძველზე შეადგინეთ ორი მაგალითი “ჯერ მეტია” ან “ჯერ ნაკლებია” გამოთქმების გამოყენებით.

ჰუსეინის გადაღებული სურათები

რაიონების სახელები	სურათების რაოდენობა
ოდუზი	36
ბერდა	25
კებულე	48
შემქირი	54
აღჯაბედი	12
ფიზული	42
ბეილეპანი	18
ზერდაბი	30
განი	60

გამრავლებისა და გაყოფის წევები

7-ზე გამრავლება და გაყოფა

1. 7-ზე გამრავლების გამოყენებით იპოვეთ ფერადი უჯრების ადგილას მცირდები რიცხვები. თქვენს რვეულში შეადგინეთ 7-ზე გამრავლების ცხრილი.

$$1 \times 7 = 7$$

$$7 : \boxed{} = 1$$

$$4 \times 7 = 28$$

$$28 : \boxed{} = 4$$

$$2 \times 7 = 14$$

$$14 : 7 = \boxed{}$$

$$5 \times 7 = 35$$

$$\boxed{} : 4 = 7$$

$$3 \times 7 = 21$$

$$\boxed{} : 2 = 7$$

$$6 \times 7 = 42$$

$$42 : \boxed{} = 7$$

2. გამრავლების მოქმედების თთოვეული მაგალითის მიხედვით დაწერეთ გაყოფის მოქმედების 2 მაგალითი.

$$7 \times 8 = 56$$

$$10 \times 7$$

$$6 \times 7$$

$$7 \times 9$$

$$56 : 7 = 8$$

$$7 \times 5$$

$$2 \times 7$$

$$3 \times 7$$

3. არჩემ სავაჭრო ცენტრის ფოიეში დადგმულ აკვარიუმში თეგზები დათვალია და თქვა, რომ აქ 9 დიდი თევზი და მასზე 7-ჯერ მეტი პატარა თევზია. ცენტრის მუშაკმა კი თქვა, რომ დიდიან-პატარიანად სულ აკვარიუმში 100 თევზია. რამდენი თევზი გერ დათვალია არჩეუმ?

4. კამნე ყვითელი და შავი ფერის უჯრებით იყო მოხატული. მასზე სიგრძიგ 7, სიგანეზე 4 უჯრაა. 1) სულ რამდენი უჯრაა კამნეზე?
2) კამნეს სიგრძიგ თუ თთოვეული რიგი ერთი ყვითელი და ერთი შავი უჯრითაა დამშვენებული, რამდენი ყვითელი უჯრაა მასზე?
ამოცანა ამოხსენით სურათის დახატვით.

5. მაღაზიამ ტელეფონის აპარატები 28 მანეთად შეიძინა და 35 მანეთად ყიდის. რამდენი მანეთის მოგებას მიღებს მაღაზია, თუ დღის განმავლობაში 7 ტელეფონის აპარატი გაიყიდება?

6. თთოვეულში ყვავილების თანაბარი რაოდენობის მქონე 3 თაოგულში 21 ყვავილია. სულ რამდენი ყვავილი იქნება:
ა) 5 ასეთ თაოგულში; ბ) 7 ასეთ თაოგულში?
გადაიტანეთ თქვენს რვეულებში ცხრილი და შეავსეთ.

ერთ თაოგულში ყვავილების რაოდენობა		
თაოგულების რაოდენობა		
ყვავილების საერთო რაოდენობა		

7. შეასრულეთ გამრავლების მოქმედებები ნიმუშს შესაბამისად.

$$\begin{array}{c} 7 \times 8 = 3 \times 8 + 4 \times 8 \\ \diagdown \quad \diagup \\ 3 \quad 4 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 7 \times 8 \\ 9 \times 7 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 8 \times 6 \\ 10 \times 7 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 7 \times 5 \\ 7 \times 7 \end{array}$$

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

7-ზე გამრავლება და გაყოფა

1. შეასრულეთ მოქმედებები ჯერ მოცემული წესით, შემდეგ კი თანამამრავლების აღგილების შეცვლით.

7×9

6×7

6×9

4×8

5×9

5×10

6×8

5×8

4×7

7×8

10×7

3×9

2. მოღებულ იქნა გადაწყვეტილება, ალბინისტები და ყოფილიყვნები 3 კაციან 6 ჯგუფად, ორი პირი კი დარჩენილიყო კარაგში. იპოვეთ ალბინისტების საერთო რაოდენობა.



3. წრების აღგილას ჩაწერეთ შესაბამისი მოქმედების ნიშნები ($+$, $-$, \times , $:$).

$28 \bigcirc 7 = 4$

$42 \bigcirc 6 = 7$

$70 \bigcirc 7 = 10$

$7 \bigcirc 7 = 14$

$7 \bigcirc 8 = 56$

$7 \bigcirc 7 = 0$

$21 \bigcirc 7 = 3$

$21 \bigcirc 7 = 14$

$49 \bigcirc 7 = 7$

4. შეჰლამ თითოეულზე თანაბარი რაოდენობის სტიკერების 3 ფურ-ცელი შეიძინა. მან სტიკერებიდან ერთი რვეულზე დააწება. შეჰლას 20 სტიკერი დარჩა. რამდენი სტიკერი იყო თითოეულ ფურცელზე?

5. რომელი ხერხითაა უფრო ადგილია ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვების მოძებნა: რიცხვების შერჩევით ზეპირად შემოწმებით თუ გაყოფის მოქმედების დახმარებით?

$\boxed{} \times 7 = 42 \quad 6 \times \boxed{} = 48 \quad \boxed{} \times 8 = 56 \quad 7 \times \boxed{} = 21$

$\boxed{} \times 5 = 35 \quad 5 \times \boxed{} = 40 \quad \boxed{} \times 10 = 70 \quad 6 \times \boxed{} = 54$

6. სემენის დაბადების დღეზე სტუმრებისათვის 12 ყუთი ალუბლის წვენი და თითოეულში 7 ყუთის მქონე 4 შეკვრა ვაშლის წვენი იქნა შეძენილი. ამ ინფორმაციის საფუძველზე ქვემოთ მოცემული კითხვებიდან რომლებზეა პასუხის გაცემა შეუძლებელი:
- ა) სულ რამდენი ყუთი წვენი შეიძინეს დაბადების დღისათვის?
- ბ) რამდენი ყუთი ვაშლის წვენია ორ შეკვრაში?
- გ) რამდენი ყუთი ალუბლის წვენია 1 შეძენაში?

გამრავლებისა და გაყოფის წევები

8-ზე გამრავლება და გაყოფა

1. თქვენს რვეულებში დაასრულეთ 8-ზე გამრავლების ცხრილი.
შეასრულეთ გაყოფის მოქმედებები გამრავლების ცხრილის გამოყენებით.

$$1 \times 8 = 8$$

$$3 \times 8$$

$$5 \times 8$$

$$7 \times 8$$

$$9 \times 8$$

$$2 \times 8 = 16$$

$$4 \times 8$$

$$6 \times 8$$

$$8 \times 8$$

$$10 \times 8$$

$$8 : 1$$

$$24 : 3$$

$$40 : 5$$

$$56 : 7$$

$$72 : 9$$

$$16 : 2$$

$$32 : 4$$

$$48 : 6$$

$$64 : 8$$

$$80 : 10$$

2. პიქტოგრამაში ნაჩვენებია 5 დღის განმავლობაში მაღაზიაში გაყიდული წიგნების რაოდენობა.

1) განსაზღვრეთ კვირის თითოეულ დღეს გაყიდული წიგნების რაოდენობა.

2) რამდენი წიგნით მეტი გაიყიდა ოთხშაბათს პარასკევთან შედარებით? გამოიანგარიშეთ სხვადასხვა ხერხით.

3) რაპიმმა პიქტოგრამის მახლევით

მაღაზიაში გაყიდული წიგნები

დღეები	წიგნების რაოდენობა
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	
$1 \text{ } \square = 8 \text{ } \text{წიგნი}$	

ორ დღეში გაყიდული წიგნების შედარება $5 \times 8 > 4 \times 8$ სახით ჩაწერა.

ჩაწერეთ ეს ინფორმაცია სიტყვებით.

3. ფერადი უჯრების ადგილას ისეთი რიცხვები ჩაწერეთ, რომ სწორი ტოლობა მიმიღოთ.

$$5 \times \square = 40$$

$$40 + 40 = 8 \times \square$$

$$4 \times \square = 32$$

$$16 + 20 = 4 \times \square$$

$$\square \times 8 = 64$$

$$96 - 56 = 8 \times \square$$

$$\square \times 3 = 24$$

$$100 - \square = 9 \times \square$$

4. შეადგინეთ თითოეული გამოსახულების შესაბამისი 2 ამოცანა:

1) ამოცანის კითხვაში ჯგუფების რაოდენობის მოქმედნის მოთხოვნით.

2) ამოცანის კითხვაში თითოეულ ჯგუფში საგნების რაოდენობის მოქმედნის მოთხოვნით.

1) $24 : 8$

2) $12 : 3$

3) $20 : 4$

5. შეცვალეთ გამოსახულებები თრი რიცხვის ნამრავლით.

a) $2 \times 9 + 3 \times 9 = 5 \times 9$

b) $4 \times 3 + 2 \times 3$

c) $5 \times 7 + 4 \times 7$

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

8-ზე გამრავლება და გაყოფა

1. მათემატიკური თამაშების ინტერნეტსაიტზე 5 დღის განმავლობაში შემოსული მომხმარებლების რაოდენობა ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები. ცხრილის შესაბამისად პიქტოგრამა თქვენს რვეულებში დაასრულეთ და შეასრულეთ დავალებები.

დღეები	მომზარებელთა რაოდენობა
ორშაბათი	72
სამშაბათი	24
ოთხშაბათი	64
ხუთშაბათი	48
პარასკევი	32

მომხმარებელთა რაოდენობა	
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	

- 1) ხუთშაბათს მომხმარებლის რაოდენობა რვით ნაკლები რომ ყოფილიყო, პიქტოგრამაში ამ დღის შესაბამისად რამდენ სურათს დახატავდით?
 - 2) გულერმა ხუთშაბათის სურათების რაოდენობა $24 : 3 = 8$ სახით გაიანგარიშა და 8 ცალი სურათი დახატა. იბოვეთ გულერის შეცდომა.
 - 3) 1 = 4 მომხმარებელს თუ მიგიჩნევთ, როგორ შეიცვლება პიქტოგრამის სურათების რაოდენობა? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

2. განსაზღვრეთ კანონზომიერება. დაამატეთ მაგალითების ერთი წყვილი.

32 : 4 16 : 4 40 : 4

32 : 8 16 : 8 40 : 8

- 3.** იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები გამრავლებისა და გაყოფის მოქმედების ურთიერთკავშირის გამოყენებით.

$$1) \boxed{} : 8 = 4 \quad 2) 56 : \boxed{} = 7 \quad 3) \boxed{} \times 8 = 80 \quad 4) 6 \times \boxed{} = 48$$

$$6 \times 7 = 8 \times 7 - 2 \times 7$$

$$6 \times 7 - 5 \times 9 + 3 \times 9$$

$$8 \times 9 \quad \overbrace{\hspace{1cm}}^{\text{cancel}} \quad 8 \times 7 - 2 \times 7$$

$$5 \times 6 \qquad \qquad 4 \times 8 + 5 \times 8$$

$$9 \times 8 \quad \quad \quad 8 \times 6 - 3 \times 6$$

- 5.** თემურმა, ჯავიდმა და გულერმა საპროექტო საქმის წარდგენისათვის
თითოეულისათვის 2 პლაკატი გაამზადეს. თითოეულ პლაკატზე
8 ფოტოსურათი დააწებეს. სულ რამდენი ფოტოსურათია შათ პლაკატებზე?

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

9-ზე გამრავლება და გაყოფა სწავლება

თვალი გადავავლოთ 9-ზე გამრავლების ცხრილს:
ნამრავლის ციფრების ჯამი ყოველთვის 9-სს ტოლი ხდება.
ეს პირობა შეგამოწმოთ.

მამრავლები	ნამრავლი
1×9	9
2×9	18
3×9	27
4×9	36
5×9	45
6×9	54
7×9	63
8×9	72
9×9	81
10×9	90

$$1 - 1 = 0$$

$$2 - 1 = 1$$

$$3 - 1 = 2$$

$$4 - 1 = 3$$

$$5 - 1 = 4$$

$$6 - 1 = 5$$

$$7 - 1 = 6$$

$$8 - 1 = 7$$

$$9 - 1 = 8$$

$$10 - 1 = 9$$

ნამრავლის ათეულების
რაოდენობა ყოველთვის 9-ზე
გამრავლებულ რიცხვზე
1 ერთეულით ნაკლებია.

1. რიცხვის 9-ზე გამრავლებისას ნამრავლი შეიძლება 62 იყოს?
მოსახურებები წარმოადგინეთ.

2. სასადილოში 9 მაგიდაა. თითოეულ მაგიდასთან 6 პირი
შეიძლება დაჯდეს. რამდენი მაგიდა დააკლდებათ, თუ
სასადილოში ერთდროულად 60 კაცს მოუნდება
სადილობა?



3. მიღიფრამი (მგ) გრამზე მცირე მასის ერთეულია. ფორთონდას ერთ
ნაჭერში 9 მგ C ვიტამინია. ექიმის რჩევით რეშადმა ყოველდღიურად
სულ მცირე 5 ნაჭერი ფორთონდალი უნდა შეჭამოს. რამდენი მიღიფრამი
C ვიტამინი უნდა მიიღოს რეშადმა ყოველდღიურად? ამ ამოცანის
შესაბამისი შებრუნებული ამოცანა შეადგინეთ.

4. ამ გამოსახულების $4 \times 9 + 1 \times 9 + 3 \times 9$ შეცვლა რომელი
გამოსახულებით შეიძლება?

ა) 7×9

ბ) 8×9

გ) 9×9

5. ხელსაყრელი გაანგარიშების ხერხით ზეპირად გაიანგარიშეთ.

$$2 \times 9 + 4 \times 9 + 1 \times 9 + 3 \times 9 = ?$$

გამრავლებისა და გაყოფის წვევები

9-ზე გამრავლება და გაყოფა

1. ჰემიდემ სახლში არსებული წიგნები დააჯგუფა და თითოეულ თაროზე 9 წიგნი მოათავსა. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ჰემიდეს წიგნების შესახებ. შეასრულეთ დავალებები ცხრილის მიხედვით.

1) რამდენი თარო საჭირო თითოეული სფეროს მიხედვით წიგნების მოსათავსებლად?

2) შეადგინეთ ახალი ცხრილი, თითოეული სფეროს მიხედვით თაროების რაოდენობის მაჩვენებელი სვეტის დამატებით.

3) რამდენ თაროზე მოათავსა ჰემიდემ წიგნები კულინარისა და ხელოვნების შესახებ?

4) სახელმძღვანელოების რაოდენობა 9 ცალით ნაკლები თუ იქნებოდა, რამდენი თარო გახდებოდა საჭირო მათ მოსათავსებლად?

ჰემიდეს წიგნები	
წიგნების რაოდენობა	წიგნების რაოდენობა
ხელოვნება	45
მატგრული ლიტერატურა	90
ლექსიკონი	27
სახულმძღვანელო	54
კულინარია	18
ენციკლოპედია	36

2. 9-ზე გამრავლების გამოყენებით, ზეპირად ამოხსენით მაგალითები გაყოფის შესახებ.

$$9 \times 4$$

$$9 \times 8$$

$$5 \times 9$$

$$9 \times 7$$

$$6 \times 9$$

$$36 : 4$$

$$\square : 8$$

$$\square : 5$$

$$\square : 7$$

$$\square : 6$$

$$36 : 9$$

$$\square : 9$$

$$\square : 9$$

$$\square : 9$$

$$\square : 9$$

3. ქვემოთ მოცემული ცხრილი გადაიტანეთ თქმების რვეულებში. გამოიკვლეული სტრიქონებისა და სვეტების მიხედვით გასაყოფების დალაგებაში არსებული კანონზომიერება.


9-ზე გაყოფა	
$\square : 9 = 10$	$\square : 9 = 1$
$\square : 9 = 9$	$\square : 9 = 2$
$\square : 9 = 8$	$\square : 9 = 3$
$\square : 9 = 7$	$\square : 9 = 4$
$\square : 9 = 6$	$\square : 9 = 5$

4. ქამილმა და აიანმა ბოსტანში არსებული ბომიდვრისა და ბადრიჯნის ჩითილები დაითვალეს. ქამილმა თითოეულ რიგში 9 ცალით 7 რიგი ბომიდვრის, აიანმა კი თითოეულ რიგში 6 ცალით 9 რიგი ბადრიჯნის ჩითილი დათვალეს. რამდენით მეტია ბომიდვრის ჩითილების რაოდენობა, ბადრიჯნის ჩითილების რაოდენობაზე?

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

10-ზე გამრავლება და გაყოფა

1. უჩვენეთ განაყოფი რიცხვით ღერძზე.



$$60 : 10$$

$$50 : 10$$

$$70 : 10$$

$$30 : 10$$

$$80 : 10$$

$$40 : 10$$

2. 1) $50 : 10$ განაყოფი რას უჩვენებს: 50-ში ერთეულების რაოდენობას, თუ ათეულების რაოდენობას?

2) რას უჩვენებს ფერადი უჯრის ადგილას არსებული რიცხვი?

$$70 = \square \times 10$$

$$90 = \square \times 10$$

$$50 = \square \times 10$$

$$100 = \square \times 10$$

$$60 = \square \times 10$$

$$80 = \square \times 10$$

3. 1) 80 და სიგრძის ძაფი ჯერ 10 ტოლ ნაწილად გაიყო. შემდეგ კი ეს ნაწილები კვლავ 2 ტოლ ნაწილად გაიყო. რამდენი სანტიმეტრი იქნება მიღებული თითოეული ნაწილის სიგრძე?
- 2) ელმადმა 1 მანეთი 10-კაპიკიანებად დაახურდავა. რამდენი ცალი 10-კაპიკიანი აქვს ელმადს?

4. ჩაგიფიქრე რიცხვი. ამ რიცხვის ორმაგის 10-ზე გაყოფისას უდიდესი ერთნიშნა რიცხვი მიიღება. რა რიცხვი ჩაგიფიქრე?

5. განსაზღვრეთ ფერადი უჯრების ადგილას არსებული რიცხვები.

$$8 = \square : 10$$

$$40 = \square \times 4$$

$$60 = \square \times 6$$

$$90 : \square = 10$$

$$\square : 10 = 7$$

$$10 : \square = 10$$

$$20 : \square = 10$$

$$10 : \square = 1$$

6. ძია ნების ახალ დარგულ ხეს 5 დღეში ერთხელ რწყავს, ხოლო 10 დღეში ერთხელ კი მიწას უფხვიერებს. მან ახალი დარგული ხე 1-ელ სექტემბერს თან მორწყა, თან მას მიწა გაუფხვიერა. მიმდევრობით ჩაწერეთ მიწას გაფხვიერებისა და მორწყვის თარიღები. ძია ნებისმა თვის განმავლობაში ერთდროულად რომელ რიცხვებში ხე მორწყა და ნიადაგი გაუფხვიერა მას?

გამრავლებისა და გაყოფის ჩვევები

გამრავლებისა და გაყოფის თვისებები

სწავლება

- ნებისმიერი რიცხვის **1-ზე** გამრავლებისას ნამრავლი თვით ამ რიცხვის ტოლი ხდება.

$$7 \times 1 = 7$$

- ნებისმიერი რიცხვის **0-ზე** გამრავლებისას ნამრავლი **0** ხდება.

$$7 \times 0 = 0$$

- 0-საგან განსხვავებული ნებისმიერი რიცხვის თავის თავზე გაყოფისას განაყოფი 1 ხდება.**

$$7 : 7 = 1$$

- ნებისმიერი რიცხვის **1-ზე** გაყოფისას განაყოფი თვით ამ რიცხვის ტოლი ხდება.

$$7 : 1 = 7$$

- 0-ს ნებისმიერ რიცხვზე გაყოფისას განაყოფი 0 ხდება.**

$$0 : 7 = 0$$

- 0-ზე გაყოფა არ შეიძლება.**

1. შეასრულეთ გაყოფის მოქმედებები.

$$10 : 1$$

$$8 : 1$$

$$14 : 14$$

$$10 : 10$$

$$9 : 9$$

$$0 : 8$$

$$5 : 1$$

$$0 : 10$$

$$50 : 50$$

$$8 : 8$$

$$7 : 7$$

$$20 : 20$$

2. დაწერეთ 4 მაგალითი **"0-საგან განსხვავებული ნებისმიერი რიცხვის თავის თავზე გაყოფისას განაყოფი 1 ხდება"** - თვისების შესახებ.

3. რომელი ტოლობაა **"ნებისმიერი რიცხვის 1-ზე გაყოფისას განაყოფი თვით ამ რიცხვის ტოლი ხდება"** - თვისების შესახებ?

a) $9 : 9 = 1$ b) $9 : 1 = 9$ c) $0 : 9 = 0$ d) $9 : 3 = 3$

4. $100 \times 1 = 100$ და $100 \times 0 = 0$ ტოლობების გამრავლების რომელი თვისებით გამოსახვაა შესაძლებელი?

5. **"თანამამრავლების ადგილების შეცვლით ნამრავლი არ იცვლება"** თვისების შესახებ ნიმუშში მოცემულის მაგვარად კიდევ 3 მაგალითი დაწერეთ.


$$5 \times 4 = 20 \quad 4 + 4 + 4 + 4 = 20$$

$$4 \times 5 = 20 \quad 5 + 5 + 5 + 5 = 20$$



განმაზოვალებელი დაგალებები

1. უძველეს ხანაში მცხოვრები ბაბილონელები 1-დან 59-მდე ყველა რიცხვს ორი სიმბოლოს გამოყენებით წერდნენ:

ერთეულები: ათეულები: მაგალითად, $< <$ 

 6

ბაბილონელთა სიმბოლოებით ჩაწერილი მაგალითები ჩაწერეთ ციფრების დახმარებით.

$1)$ 	$3)$ 
$2)$ 	$4)$ 

2. იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები.

$3 \times \blacksquare = 27$

$5 \times \blacksquare = 40$

$7 \times \blacksquare = 35$

$\blacksquare \times 9 = 45$

$\blacksquare \times 7 = 49$

$\blacksquare \times 9 = 36$

$6 \times 7 = \blacksquare$

$6 \times 9 = \blacksquare$

$5 \times 6 = \blacksquare$

3. ძია მეჭდის სახლში რემონტი აქვს. მან სახლის შიდა კედლებსათვის 4 ლა-იანი 8 ყუთი, ფასადისათვის კი 10 ლა-იანი 5 ყუთი საღებავი შეიძინა. სულ რამდენი ლიტრი საღებავი შეიძინა ძია მეჭდიმ?

4. გამოიანგარიშეთ და შეადარეთ.

$6 \times 7 \blacksquare 8 \times 5$

$5 \times 9 \blacksquare 6 \times 8$

$9 \times 3 \blacksquare 7 \times 4$

$7 \times 5 \blacksquare 9 \times 4$

$8 \times 4 \blacksquare 6 \times 5$

$10 \times 6 \blacksquare 9 \times 7$

5. ამოცსენით ამოცანები.

1) ელგინმა ხიდან 9 ვაშლი მოკრიფა. ეს ჩინგიზის მოკრეფილ ვაშლებზე 4-ჯერ ნაკლებია. რამდენი ვაშლი მოკრიფეს მათ ერთად?

2) სპორტსმენებმა სტადიონზე თითოეულში 4 ბიჭი და 5 გოგონათი შემდგარი მწკრიფები მოაწყვეს. რამდენი სპორტსმენი დგას 8 ასეთ მწკრიფში?

ნაშთიანი გაყოფა

სწავლება

ამოცანა 1. თუ 17 მოხწავლე სამ-სამად დაჯგუფდება, რამდენი ჯგუფი შეიქმნება?
ამოცანა 17 : 3 გაყოფის მოქმედების დახმარებით იხსნება.

გაიანგარიშეთ განაყოფი:

გიპოვთოთ 17-ზე ნაკლები და სამზე
უნაშთოდ გასაყოფი უდიდესი რიცხვი.
ეს 15-ია. 15 : 3 = 5. განაყოფი 5-ია.

გამოვიანგარიშოთ ნაშთი:

$5 \times 3 = 15$, $17 - 15 = 2$ (ნაშთი). ნაშთს

მოკლედ 6 ასოთი აღვნიშნავთ.

$17 : 3 = 5$ (ნ 2). მაშასადამე რიცხვი 3 ყველაზე მეტჯერ 17-ში თავსდება 5-ჯერ, ნაშთი 2 მიღება.

შემოწმება: განაყოფისა და გამოყოფის ნამრავლისათვის ნაშთის მიმატებით გასაყოფი მიღება.




$$5 \times 3 + 2 = 17$$

დაიმახსოვრეთ! ნაშთი ყოველთვის გამოიწევ ნაკლები უნდა იყოს.

ამოცანა 2. 17 მოხწავლე თითოეულ ჯგუფში თანაბარმოხწავლიან 3 ჯგუფად თუ გაიყოფა, რამდენი მოხწავლე იქნება თითოეულ ჯგუფში?

შეადარეთ ამ ამოცანის ამონასენი 1-ლი ამოცანის ამონასენთან. წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

1. სურათები შესაბამისი გაყოფის მოქმედებებით გამოსახულეთ. წარმოადგინეთ ფიგურების საერთო რაოდენობა, ჯგუფების რაოდენობა, თითოეულ ჯგუფი ფიგურების რაოდენობა და ნაშთი.



2. 27 კვერცხი ყუთებში ექვს-ექვსად იქნა ჩაწყობილი. რამდენი ყუთი შეიღსო სრულად? რამდენი კვერცხი დარჩა ზედმეტი?

3. უნაშთო გაყოფის მაგალითების პასუხები, დაგენმარებათ ნაშთიანი გაყოფის მოქმედების შესრულებაში. ორი მაგალითიც თქვენ დაამატეთ.

$$21 : 7 = 3$$

$$22 : 7 = 3 \text{ (q 1)}$$

$$24 : 6$$

$$27 : 6$$


$$10 : 5$$

$$12 : 5$$

$$12 : 4$$

$$15 : 4$$

4. სეიარემ $21 : 5$ გაყოფის მოქმედება ქვემოთ მოცემულივით დაამოდელირა და ამონა. რაში მდგომარეობს სეიარეს შეცდომა?



$$21 : 5 = 3 \text{ (6 6)}$$

5. 2-ზე უნაშთოდ გასაყოფ რაიმე რიცხვს თუ 3-ს მივუმატებთ, მიღებული რიცხვი 2-ზე უნაშთოდ გაიყოფა? 4-ს თუ მივუმატებთ? მოსაზრებები ნიმუშებით განმარტეთ.

ნაშთიანი გაყოფა

ამოცანების ამონენა


1. ადილს პოპ მუსიკის ჩაწერილი 27 დისკი ჰქონდა. მან ეს დისკები 5 მეტობარს შორის თანაბრად გაანაწილა. ზედმეტად დარჩენილი დისკები თავისთვის დაიტოვა. რამდენი დისკი აიღო თავისთვის ადილმა?
2. არითს, სემედს და ასიფს ერთად 29 რვეული აქვთ. არითსა და სემედს რვეულების რაოდენობა ტოლია. ასიფის რვეულები კი თოთოეული მათგანის რვეულებზე 2-ით მეტია. რამდენი რვეული აქვთ ცალკ-ცალკე არითს, სემედსა და ასიფს?
3. 4 ყუთში 21 ფანქარია. ამ ყუთებიდან სამში ერთი და იგივე რაოდენობის, ხოლო ერთში კი დანარჩენებთან შედარებით 1 ფანქრით მეტია. რამდენი ფანქარია თოთოეულ ყუთში?
4. 1) გუნელს 16 მანეთი აქვს. მას უნდა შეიძინოს თითო 3-მანეთიანი კინოფილმების DVD-ები. რამდენი DVD-ს შეძენა შეუძლია გუნელს? რამდენი მანეთი დარჩება მას?
- 2) შეადგინეთ ამოცანა 18 : 4 გამოსახულების შესაბამისად.
5. თეპმინე 48 გვერდიან მოთხრობების წიგნში ყოველდღიურად 9 გვერდს კითხულობს. მაქსიმუმ რამდენ დღეში დაასრულებს იგი წიგნის წაკითხვას? ამოცანის პასუხი დაწერეთ ... დღით მეტი,
... დღით ნაკლების მაგვარი გამოთქმების გამოყენებით.
6. მომთვინიერებელს შეუძლია დელფინს თვეში 2 მოძრაობა შეასწავლოს. დელფინისათვის 17 მოძრაობის ათვისებინება ყველაზე მეტი რამდენ თვეშია შესაძლებელი? ამოცანის პასუხი დაწერეთ ... თვეზე მეტი,
... თვეზე ნაკლების მაგვარი გამოთქმების გამოყენებით.
7. შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფა.

25 : 7	34 : 6	45 : 7	35 : 4
42 : 4	25 : 3	54 : 8	67 : 8
30 : 9	49 : 6	47 : 5	56 : 9
28 : 5	81 : 8	64 : 9	75 : 8



განმაზოგადებელი დაფალებები

1. სურათების მიხედვით დაწერეთ ნაშთიანი გაყოფის მაგალითები და ამოხსენით.



2. 2. შერჩევა-შემოწმების გზით ამოხსენით.
- a) ორი რიცხვის ნამრავლი 12-ის, განაყოფი კი 3-ის ტოლია. იპოვეთ ეს რიცხვები.
- b) ორი რიცხვის ჯამი 14-ის, სხვაობა კი 2-ის ტოლია. იპოვეთ ეს რიცხვები.

3. რამდენი რეისი უნდა შეასრულოს 8 ადგილიანმა მიკროავტობუსმა 39 მოსწავლის სტადონზე წასაყვანად? ამოცანის ამოხსნა ცხრილითაც უჩვენეთ.

4. მოედანზე მოთამაშე ბავშვების თითოეულ რიგში მოსწავლეების თანაბარი რაოდენობით 2 რიგად მოწყობისას 1 მოსწავლე, 3 რიგად მოწყობისას 2 მოსწავლე, 4 რიგად მოწყობისას კი 3 მოსწავლე გარეთ რჩება. მოედანზე სულ მცირე რამდენი მოსწავლის ყოფნაზე შეიძლება საუბარი? ამოხსენით ამოცანა შერჩევა-შემოწმებით.
5. დაწერეთ 1, 2, 3, 4 ციფრების გამოყენებით ორნიშნა რიცხვები. იმ რიცხვების ქვეშ, რომლებიც 4-ზე გაყოფისას ნაშთში 1-ს გვაძლევენ ერთი ხაზი, ნაშთში 2-ის მომცემი რიცხვის ქვეშ 2 ხაზი გაუსვით.

6. რომელი სამი რიცხვის გამრავლებისას და შეკრებისას მიღება ერთი და ოგიგე შედეგი?
- a) 0, 1, 2 b) 1, 2, 3 c) 1, 1, 1

7. იპოვეთ განაყოფი და ნაშთი.

$$\begin{array}{llllll} 14 : 3 & 32 : 3 & 33 : 4 & 21 : 4 & 24 : 5 & 38 : 5 \\ 25 : 3 & 19 : 3 & 26 : 4 & 39 : 4 & 27 : 5 & 54 : 5 \end{array}$$

8. გამოანგარიშების გარეშე გაეცით შეკითხვებზე პასუხები.
- რამდენჯერ ნაკლები 4×9 ნამრავლი 8×9 ნამრავლზე?
- რამდენჯერ მეტია 3×5 ნამრავლი 5×5 ?

განმაზოგადებელი დაგალებები

1. განსაზღვრეთ თთოეული ფიგურის შესაბამის რიცხვი

$$\textcolor{blue}{\square} + \textcolor{yellow}{\triangle} = 17$$

$$\textcolor{yellow}{\triangle} : 3 = 3$$

$$\textcolor{yellow}{\triangle} \times \textcolor{blue}{\square} = \textcolor{green}{\hexagon}$$

$$\textcolor{magenta}{\circleast} \times \textcolor{yellow}{\diamondsuit} = 60$$

$$48 : \textcolor{magenta}{\circleast} = 8$$

$$\textcolor{yellow}{\diamondsuit} - \textcolor{magenta}{\circleast} = \textcolor{red}{\heartsuit}$$

$$\textcolor{orange}{\pentagon} : \textcolor{purple}{\parallel} = 10$$

$$\textcolor{purple}{\parallel} \times 9 = 63$$

$$\textcolor{orange}{\pentagon} + \textcolor{purple}{\parallel} = \textcolor{yellow}{\triangle}$$

2. ყუთში 26 კანფეტია. აითენმა ეს კანფეტები 4 მეგობარ გოგონას შორის თანაბრად გაანაწილა. ზედმეტად დარჩენილი კანფეტები კი თაგისთვის დაიტოვა. რამდენი კანფეტი აიღო აითენმა?

3. კრების დარბაზში 39 მონაწილე ოთხ-ოთხად ყველაზე მეტი რამდენ რიგში მოთავსდება?

4. შეასრულეთ დაგალებები.

- 1) გასაყოფი 36, გამყოფი 8, განაყოფი 4-ია. იპოვეთ ნაშთი.
- 2) სამი მიმდევრობითი რიცხვის ჯამი 21-ია. რომლებია ეს რიცხვები?
- 3) თუ გაყოფის მოქმედებაში ნაშთი 4-ია, უმცირესი გამყოფი რამდენია?
- 4) 27-ის 4-ზე გაყოფისას, ნაშთი რა რიცხვი იქნება?
- 5) ნებისმიერი რიცხვის 5-ზე გაყოფისას ნაშთში რომელი რიცხვები შეიძლება მივიღოთ?
- 6) ნაშთიანი გაყოფის ერთი მოქმედება $3 \times 5 + 2 = 17$ -ის მაგვარად იქნა შემოწმებული. დაწერეთ ამ გაყოფის მოქმედება.

5. სააგტომობილო სალონში ოქტომბრის თვეში 30, ნოემბრის თვეში კი მასზე 5-ჯერ ნაკლები აგტომობილი გაიყიდა. სულ რამდენი აგტომობილი გაიყიდა სალონში 2 თვის განმავლობაში. შეადგინეთ ამოცანის შესაბამისი გამოსახულება.

6. იპოვეთ განაყოფი.

$$64 : 8$$

$$81 : 9$$

$$18 : 2$$

$$24 : 3$$

$$63 : 9$$

$$56 : 7$$

$$35 : 5$$

$$36 : 6$$

$$20 : 20$$

$$14 : 1$$

$$9 : 9$$

$$12 : 1$$

შეფასება

1. რიცხვის 6-ჯერ გაზრდისას 36 მიიღება. რა რიცხვი მიიღება თუკი იგივე რიცხვს 4-ჯერ გაგზრდით?

2. რომელი ტოლობა შეესაბამება „ნებისმიერი რიცხვის ერთზე გამრავლებისას ნამრავლი თვით ამ რიცხვის ტოლი ხდება“ თვისებას?

ა) $24 : 24 = 1$ ბ) $24 \times 1 = 24$ გ) $24 : 1 = 24$ დ) $24 + 24 = 48$

3. შეასრულეთ მოქმედებები.

6×6	8×8	$28 : 7$	$36 : 9$
9×7	6×7	$81 : 9$	$27 : 3$
8×4	7×5	$64 : 8$	$45 : 5$

4. რომელი ტოლობა შეესაბამება „0-საგან განსხვავებული ნებისმიერი რიცხვის თავის თავზე გაყოფისას განაყოფი ერთი ხდება“ თვისებას?

ა) $16 : 1 = 16$ ბ) $16 - 16 = 0$ გ) $16 : 16 = 1$ დ) $16 \times 1 = 16$

5. შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფის მოქმედება.

$21 : 4$	$31 : 4$	$46 : 5$
$22 : 4$	$31 : 5$	$45 : 7$
$23 : 4$	$31 : 6$	$44 : 6$


6. 1) 8 კბ შაქრის შესაძენად მყიდველმა 16 მანეთი გადაიხადა. რამდენი მანეთი დირს 1 კბ შაქარი?
2) 5 ცალ ერთსა და იმავე წიგნში 30 მანეთი იქნა გადახდილი. ა) რა ლირს ერთი წიგნი? ბ) რამდენი მანეთი უნდა გადაიხადოს 3 წიგნის

7. 8 მეტრი ქსოვილის ნახევრისაგან საბნის პირი, დანარჩენი ქსოვილის ნახევრისაგან კი ბალიშის პირი შეკერეს. რამდენი მეტრი ქსოვილი გამოიყენეს ბალიშის პირისათვის?

8. რიცხვით ლერძნე დაამოდელორეთ 4×5 და $20 : 5$ მაგალითები.

9. „ოცდაათის ხუთზე გაყოფისას განაყოფი ხუთზე მეტია“ მოსაზრების მათემატიკური ჩანაწერი რომელია?

ა) $36 : 6 = 6$ ბ) $30 : 6 < 5$ გ) $30 : 5 > 5$



**საპროექტო სამუშაო I და II განყოფილებებისათვის
რაიმე ღონისძიების თრგანიზება**

II განყოფილება

რას შეისწავლით ამ განყოფილებაში?

- 😊 სამნიშნა რიცხვის ერთეულებად, ათეულებად, ასეულებად დაშლას
- 😊 სამნიშნა რიცხვის ერთეულების, ათეულების, ასეულების რაოდენობის მიხედვით სხვადასხვანაირად გამოსახვას
- 😊 რიცხვითი მიმდევრობის შედგენას
- 😊 ათეულებამდე და ასეულებამდე დამრგვალებას
- 😊 1000-ის ფარგლებში რიცხვების შეკრებას და გამოკლებას
- 😊 სხვადასხვა სახის ამოცანების ამოხსნას
- 😊 ფულის დათვლას
- 😊 ფულის ნაშთის გამოანგარიშებას

სიტყვების მარაგი

თანრიგები

ერთეულები

ათეულები

ასეულები

თანრიგის ერთეულების რაოდენობა

ციფრის მნიშვნელობა თანრიგისათვის

დამრგვალება

შესაკრები

ჯამი

საკლები

მაკლები

სხვაობა

კენტი რიცხვი

ლუწი რიცხვი

რიცხვები 1000-ის ფარგლებში

ერთეულები, ათეულები, ასეულები
სწავლება

რიცხვი	253		
თანრიგები	ასეულები (ას.)	ათეულები (ათ.)	ერთეულები (ერთ.)
თანრიგის ერთეულების რაოდენობა	2	5	3
ციფრის მნიშვნელობა თანრიგისათვის	200	50	3
მოდელი			

რიცხვის ჩაწერის ფორმები:




თანრიგის მნიშვნელობის $200 + 50 + 3;$

ჯამის სახით ჩანაწერი: $2 \text{ ას.} + 5 \text{ ათ.} + 3 \text{ ერთ.}$

ციფრებით ჩანაწერი: 253

სიტყვიერი ჩანაწერი: ორას ორმოცდაცამეტი

1. თითოეული მოდელის შესაბამისად რიცხვის სხვადასხვა ჩანაწერის ფორმებში ჩაწერეთ.



2. დაასახელეთ ქვემოთ ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობა თანრიგისათვის.

347 834 509 147 333 256 451 520

3. ჩაწერეთ რიცხვები თანრიგების მნიშვნელობების ჯამის სახით.

286 473 640 621 238 705 128 835 167

4. ჩაწერეთ რიცხვები ციფრებით.

სამას ოცდაშვიდი, $3 \text{ ას.} + 4 \text{ ათ.} + 6 \text{ ერთ.}, 400 + 20 + 5,$
ექვსას ორმოცდათექსმეტი, $5 \text{ ას.} + 3 \text{ ათ.} + 9 \text{ ერთ.}, 200 + 30 + 8$


5. ზეპირად გაეცით პასუხი.

1) 3 ასეული რამდენი ათეულია? 2) 50 ათეული რამდენი ასეულია?
3) 50 ერთეული რამდენი ათეულია? 4) 7 ასეული რამდენი ერთეულია?

რიცხვები 1000-ის ფარგლებში

ერთეულები, ათეულები, ასეულები

1. თქვენს რგეულში უჯრების გაფერადებით გაამზადეთ
ერთეულის, ათეულის და ასეულის ბლოკები. ამ
ბლოკებით დაამოდელირეთ სხვადასხვა რიცხვები.
-სულ რამდენი უჯრაა 2 ასეულის კვადრატში?
-სულ რამდენი უჯრაა 3 ასეულის კვადრატში?
-რამდენი 100-ეულის კვადრატია საჭირო რიცხვი
1000-ის მოდელის შესაქმნელად ?



2. მაღაწიაში გარსკვლავების სტიკერები სხვადასხვა ფორმით იყიდება.
ამონსენით ამოცანები სურათების მიხედვით.

1 კონვერტი - 1 სტიკერი | 1 ფურცელი - 10 სტიკერი | 1 გრაგნილი - 100 სტიკერი | 1 ყუთი - 1000 სტიკერი



სულ რამდენი სტიკერი შეიძინა თითოეულმა მოსწავლემ?

- 1) ათენიზმა 10 ფურცელი სტიკერი შეიძინა.
- 2) ქამილმა 10 გრაგნილი სტიკერი შეიძინა.
- 3) მირვარიმ 2 გრაგნილი, 3 ფურცელი, 5 კონვერტი სტიკერი შეიძინა.
- 4) ემინმა 1 ყუთი სტიკერი შეიძინა.

3. შეასრულეთ დავალებები.

- 1) თუ რიცხვი 367-ის ათეულის თანრიგის ერთეულების რაოდენობას
2-ს მივუმატებთ, რამდენით გაიზრდება ეს რიცხვი?
- 2) 2, 0, 8 ციფრების გამოყენებით დაწერეთ სხვადასხვა თანრიგის
ერთეულების მქონე უდიდესი და უმცირესი სამნიშნა რიცხვი.

4. კითხვებზე ზეპირად გაეცით პასუხი.

- 220, 230, 240, ... მიმდევრობაში, რომელი ციფრი იქნება მე-5 რიცხვის
ათეულების თანრიგში?
-340, 440, 540, ... მიმდევრობაში, რომელი ციფრი იქნება მე-6 რიცხვის
ასეულების თანრიგში?
თქვენს მეგობარს მიმდევრობების შესახებ ზემოთ მოცემული კითხვების
მსგავსი კითხვები დაუსვით.

რიცხვები 1000-ის ფარგლებში

- 1.** ცხრილი რვეულში დაასრულეთ.
- ყოველთვიურად 10 მანეთის დაზოგვით, რამდენ თვეში შეიძლება 100 მანეთის შეგროვება?
 - ყოველთვიურად 100 მანეთის დაზოგვით, რამდენ თვეში შეიძლება 1000 მანეთის შეგროვება?
- | | | | | | | | | | | | |
|-----------------|---------------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|-----------|
| ფული | თვეები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 10 მან. | | | | | | | | | | | |
| 100 მან. | | | | | | | | | | | |
-
- 2.** ელჩინმა სპორტული მეცადინეობის დროს ჩაჯდომა-ადგომის მოძრაობა ორშაბათს 90-ჯერ, სამშაბათს 110-ჯერ, ოთხშაბათს 130-ჯერ შეასრულა. თუ იმავე წესით გაგრძელდება, ელჩინი შაბათ დღეს ჩაჯდომა-ადგომის მოძრაობას რამდენჯერ შეასრულებს?
- 3.** დაწერეთ მიმდევრობით მოცემულ თრ რიცხვს შორის არსებული რიცხვები.
- 1) 215 და 220 3) 498 და 503**
2) 337 და 341 4) 796 და 805
-
- 4.** რომელი წესითაა დალაგებული გამოსახულებები? განსაზღვრეთ მორიგი თრი გამოსახულება.
- $100 + 10 + 1$; $200 + 20 + 2$; $300 + 30 + 3$; ...**
-
- 5.** გაეცით კონვექტე პასუხი.
- 1) 45, 48, 51, ... მიმდევრობაში რამდენი ერთეულით მეტია მეოთხე რიცხვი პირველ რიცხვზე?
 - 2) 145-ის მომდევნო კენტი რიცხვი, 145-ის წინა კენტ რიცხვზე რამდენი ერთეულითაა მეტი?
-
- 6.** 1) 2, 3, 5 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით დაწერეთ შესაძლო სამნიშნა რიცხვები და დაალაგეთ ისინი ზრდის რიგის მიხედვით.
 2) $a + 200$ გამოსახულებაში $a - s$ ადგილას ჩაწერეთ ისეთი რიცხვები, რომ ჯამი 250-ზე ნაკლები იყოს. ჩაწერეთ 5 ნიმუში.

რიცხვები 1000-ს ფარგლებში

სამნიშნა რიცხვების შედარება

სწავლება

ორი სამნიშნა რიცხვიდან ის არის მეტი, რომლის ასეულების რაოდენობაც მეტია: $745 > 596$

თუ ორი სამნიშნა რიცხვის ასეულების რაოდენობა ტოლია, შედარება ათეულების რაოდენობის მიხედვით ხდება. თუ ათეულების რაოდენობაც ტოლი იქნება, მაშინ შედარება ერთეულების რაოდენობის მიხედვით ხდება.

1) $326 > 314$ 2) $324 < 328$

რამდენიმე რიცხვის შედარება მათი ზრდის ან კიდევ კლების რიგის მიხედვით ჩაწერით შეიძლება იყოს ნაჩვენები. მაგალითად: 456, 247, 321, 545, 481

რიცხვები ჩავწეროთ ზრდის რიგის მიხედვით.

1) მძიმეებით გამოყოფით: 247, 321, 456, 481, 545

2) შედარების ნიშნების გამოყენებით: $247 < 321 < 456 < 481 < 545$

1. შეადარეთ.

128 და 168

421 და 411

606 და 66

147 და 87

84 და 113

303 და 303

2. შეადარეთ თუ ცნობილია $A = 345$, $B = 217$, $C = 654$

A ● 285

B ● 413

C ● 535

397 ● B

856 ● C

A ● 405

3. 257, 785, 400, 721, 550, 385, 266, 142 რიცხვები ჩაწერეთ კლების რიგის მიხედვით. **785, 721, ...** **$785 > 721 > ...$**

4. ცხრილის მიხედვით შეასრულეთ დაგალებები.

1) შეადარე სიგრძეები სამურჩასა ქურექ ჩაისთან და კანიხჩასა სამურჩასთან.

2) ცხრილში დასახელებული მდინარეებიდან რომელია ყველაზე კრძელი და ყველაზე მოკლე?

3) უფროსების დახმარებით გაარკვით ეს მდინარეები რომელი რაიონების ტერიტორიებზე მიედინებიან.

მდინარეები

სახელი	სიგრძე (კმ)
განიხჩა	413
სამურჩა	216
ქურექჩა	186
არფაჩა	126


5. 1) 4, 7, 3 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით დაწერეთ შესაძლო სამნიშნა რიცხვები და დააღავეთ კლების რიგის მიხედვით.
2) 5, 0, 9 ციფრებიდან თითოეულის ერთხელ გამოყენებით დაწერეთ შესაძლო უდიდესი და უმცირესი სამნიშნა რიცხვები და შეადარეთ ისინი რიცხვ 500-თან.

რიცხვები 1000-ის ფარგლებში

ათეულებამდე და ასეულებამდე დამრგვალება


სწავლება = ტოლია
≈ დაანლოვებით ტოლია

ათეულებამდე დამრგვალება



რიცხვი 376 ათეულებამდე
მრგვალდება $376 \approx 380$

ასეულებამდე დამრგვალება



რიცხვი 376 ასეულებამდე
მრგვალდება $376 \approx 400$

თუ რიცხვის ერთეულების თანრიგში არ ის ციფრი 1, 2, 3, 4, რიცხვის ერთეულების თანრიგში იწერება 0. ათეულების რაოდენობა არ იცვლება.
მაგალითად, $372 \approx 370$.

თუ ერთეულების თანრიგში არ ის ციფრი 5, 6, 7, 8, 9 რიცხვის ერთეულების თანრიგში იწერება 0 ათეულების რაოდენობა ერთი ერთეულით იზრდება.
მაგალითად, $376 \approx 380$

თუ რიცხვის ათეულების თანრიგში არ ის ციფრი 0, 1, 2, 3, 4 რიცხვის ერთეულებისა და ათეულების თანრიგში იწერება 0-ები. ასეულების რაოდენობა არ იცვლება.
მაგალითად $336 \approx 300$

თუ ათეულების თანრიგში არ ის ციფრი 5, 6, 7, 8 ან 9 რიცხვის ერთეულებისა და ათეულების თანრიგებში იწერება 0. ასეულების რაოდენობა ერთი ერთეულით იზრდება. მაგალითად, $376 \approx 400$

1. რიცხვები ჯერ ათეულებამდე, შემდეგ კი ასეულებამდე დამრგვალეთ.

$124 \approx 120$	256	342	417	646	368
$124 \approx 100$	383	569	228	462	


2. შეარჩიეთ რიცხვები, რომლებიც დამრგვალებისას 130 ხდება.

124, 125, 127, 131, 134, 138

3. მე ვარ ყველა ერთნაირი ციფრის მქონე სამნიშნა რიცხვი. ათეულებამდე დამრგვალებისას ვხდები 670. რა რიცხვი ვარ მე?
4. მე ვარ უდიდესი სამნიშნა ლუწი რიცხვი, რომლის ასეულების რაოდენობაც 2-ია. ასეულებამდე თუ დაგრძელდები გაგხდები 300. რა რიცხვი ვარ მე?
5. სანუბარი და ალიე უჯრების გაფერადებით ფიგურებს ხატავენ. ფიგურებში ჩანატული უჯრების რაოდენობა 117 და 100-ია. სანუბარის დანატული ფიგურის უჯრების რაოდენობის ასეულებამდე დამრგვალებისას ალიეს ფიგურაში არსებული უჯრების რაოდენობა მიიღება. იპოვეთ რამდენი უჯრა გაუფერადებია თითოეულს.

განმაზოგადებელი დავალებები

1. სარის ნიშნებით ნაჩვენები რიცხვები შეადარეთ მათ წინამდებარე და მომდევნო რიცხვებთან.



$$133 < 134 < 135$$

2. თთოეული რიცხვი რომელ ორ ათეულს შორისაა? რიცხვები ათეულებამდე დაამრგვალეთ.



$$220 \xleftarrow{9} 229 \xrightarrow{1} 230$$

247

219

262

287


229 ≈ 230

233

256

250

3. ასრის ნიშნები რომელ რიცხვებს გვიჩვენებს? ეს რიცხვები რომელ ორ ასეულს შორისაა? დაამრგვალეთ ეს რიცხვები ასეულებამდე.





$$100 \xleftarrow{60} 160 \xrightarrow{40} 200 \quad 160 \approx 200$$

4. ა) $864 < 564 < 878 < 715$ რომელია უმცირესი რიცხვი?
ბ) თუ $A > 253$, განსაზღვრეთ A -ს ადგილას უმცირესი კუნტი რიცხვი.

- 5.** ელმანს მამამ მაგნიტოფონი შეიძინა. ელმანმა მამას მაგნიტოფონის ფასი ჰქოთხა. მამამ უთხრა: ამ მაგნიტოფონის ფასი 200 მანეთზე ნაკლებია, 190 მანეთზე მეტია. მაგნიტოფონის ფასის მაჩვენებელი რიცხვის ერთეულების თანრიგის ციფრი 6-ია. რა ღირდა მაგნიტოფონი?

მეფასება

1. სკოლის თვითშემოქმედების ანსამბლის 4 დღეს საკონცერტო პროგრამით გამოსვლები ჰქონდა. მარცხნია მხარეს მოცემული ბარგრაფი ყოველ-დღიურად კონცერტზე მომსვლელ მაყურებელთა რაოდენობას, მარჯვნია მხარეს მოცემული ბარგრაფი კი კონცერტზე გაყიდული CD-ების რაოდენობას გვიჩვენებს. ბარგრაფის მიხედვით გაეცით შეკითხვებზე პასუხები.



- 1) კვირის რომელ დღეებში ჩატარდა კონცერტები?
- 2) რომელ დღეს დაესწრო ყველაზე მეტი მაყურებალი კონცერტს?
- 3) რომელ დღეს გაიყიდა ყველზე ნაკლები CD? რამდენი იყო მათი რაოდენობა?
- 4) კვირა დღეს გაყიდული CD-ების რაოდენობა დაამრგვალეთ ათეულებამდე.

2. შეასრულეთ დავალებები.

- 5 ასეული რამდენი ათეულია?
- შეადარეთ რიცხვი 345 და რიცხვი რომელიც შედგება 40 ათეულისა და 5 ერთეულისაგან.
- რიცხვი 287 დაამრგვალეთ ასეულებამდე.
- რომელია 194-ზე 2 ათეულით მეტი რიცხვი?

3. რა რიცხვი მიიღება, თუ:

- 347 რიცხვის ყველა თანრიგის ერთეულების რაოდენობიდან 2-ს გამოვაკლებთ.
- 251 რიცხვის ერთეულებს 5-ს მიუვატებთ, ასეულებს 1-ს გამოვაკლებთ.
- 21 ათეულითა და 4 ერთეულით შემდგარი რიცხვის ათეულებს 3-ით გაგზოდთ.
- 3 ასეულისაგან და 27 ერთეულისაგან შემდგარი რიცხვის ერთეულებიდან 4-ს გამოვაკლებთ.

4. დაწერეთ ყველა სამნიშნა რიცხვი, რომლების ათეულებამდე დამრგვალებისას 380 მიიღება.

შეკრება 1000-ის ფარგლებში


ახალი ათეულისა და ასეულის არშექმნის შემთხვევა

სწავლება 112 + 234

ქვეშმიწერით შეკრება:

შეკრების მოქმედებას ერთეულების თანრიგიდან იწყებენ.

- | | | |
|--------------------------------|-----------------------------|-----------------------------|
| 1. ერთეულები (ერთ.) იკრი- | 2. ათეულები (ათ.) იკრიბება. | 3. ასეულები (ას.) იკრიბება. |
| ბება. 2 ერთ. + 4 ერთ. = 6 ერთ. | 1 ათ. + 3 ათ. = 4 ათ. | 1 ას. + 2 ას. = 3 ას. |
| მიღებული რიცხვი ერთეულ- | მიღებული რიცხვი ათეულე- | მიღებული რიცხვი ასეულის |
| ების თანრიგში იწერება. | ბის თანრიგში იწერება. | თანრიგში იწერება. |



1. მაგალითები ქვეშმიწერით ჩაწერეთ და ამოხსენით.

$$445 + 3$$

$$562 + 17$$

$$125 + 271$$

$$652 + 5$$

$$431 + 26$$

$$314 + 225$$

$$173 + 6$$

$$324 + 32$$

$$411 + 347$$

2. ელიმ მაღაზიიდან სახლში მიმავალ გზაზე 150 მ-ის გავლის შემდეგ შემნებელი ჯიხურიდან გაზეოთ შეიძინა. მან კიდევ 125 მ-ის გავლის შემდეგ აფთიაქიდან წამალი შეიძინა. აფთიაქიდან სახლამდე კი 110 მეტრი გზა გაიარა. სულ რა მანძილი გაიარა ელიმ? ამოხსენით ამოცანა სურათის დახატვით.

3. გამოიანგარიშეთ ზეპირად.

$$250 + 5$$

$$612 + 11$$

$$322 + 22$$

$$147 + 30$$

$$200 + 150$$

$$418 + 200$$

$$235 + 120$$

$$320 + 210$$

$$560 + 130$$

4. ჩავიფიქრე სამნიშნა რიცხვი. ამ რიცხვის ასეულების 4 ერთეულით გაზრდისას მიიღება სამნიშნა რიცხვი, როლის ყველა ციფრი 5-ია. რა რიცხვი ჩავიფიქრე?

5. ნოვრუზის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებაში 210 მოსწავლე, 4 მასწავლებელი და მასწავლებლებზე სამჯერ მეტი მშობელი მონაწილეობდა. სულ რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ღონისძიებაში?


გამოკლება 1000-ის ფარგლებში

ათეულისა და ასეულის გამოუცალკავებელი შემთხვევა

სწავლება 334 – 123

ქვეშმიწერით გამოკლება:

გამოკლების მოქმედებას ერთეულების თანრიგიდან იწყებენ.



1. ერთეულები აკლდება.

$$4 \text{ ერთ.} - 3 \text{ ერთ.} = 1 \text{ ერთ.}$$

მიღებული რიცხვი ერთეულების თანრიგში იწყება.

2. ათეულები აკლდება.

$$3 \text{ ათ.} - 2 \text{ ათ.} = 1 \text{ ათ.}$$

მიღებული რიცხვი ათეულების თანრიგში იწყება.

3. ასეულები აკლდება.

